სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

02 ოქტომბერი 2025

N 585/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ონის მუნიციპალიტეტში მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე შპს „ჭიორა ჰესი“-ს 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ჭიორა ჰესი“) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის (ონის მუნიციპალიტეტში მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობა და ექსპლუატაცია) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2019 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, გაცემულია „ონის მუნიციპალიტეტში შპს „ჭიორა ჰესის“ მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №2-956 ბრძანება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 15,85 მგვტ სიმძლავრის „ჭიორა ჰესი“ განთავსებულია ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჩვეშურას ხეობაში და საბაზისო პროექტით იგი მოიცავს შემდეგ ძირითად ინფრასტრუქტურას: მდინარე ჩვეშურაზე სათავე ნაგებობა (პრაქტიკული მოხაზულობის უვაკუუმო, წყალსაშვიანი, დაბალზღურბლიანი ბეტონის კაშახლი, რომელიც აღჭურვილი იქნება ერთმალიანი გამრეცხი ფარითა და გვერდითი ტიპის წყალმიმღებით); მდინარე ხვარგულაზე სათავე ნაგებობა (პრაქტიკული მოხაზულობის უვაკუუმო ბეტონის კაშხალი, რომელიც აღჭურვილი იქნება წყალმიმღები გისოსით, წყალშემკრები გალერეით და ერთკამერიანი პერიოდული რეცხვის სალექარით); მდინარე ჩვეშურას წყალმიმღებიდან მდინარე ხვარგუალს წყალმიმღებამდე 591 მეტრი სიგრძის სატრანსფერო რკინაბეტონის გალერეა (დახურული არხი); მდინარე ხვარგულას სათავე ნაგებობიდან ჰესის შენობამდე 2701 მეტრი სიგრძის სადერივაციო/სადაწნეო მილსადენი, რომლის 880 მეტრიანი მონაკვეთი გაივლის საექსპლუატაციო გვირაბში; ჰესის შენობა; 382 მეტრი სიგრძის გამყვანი არხი. საბაზისო პროექტით, ასევე გათვალისწინებულია სამშენებლო ბანაკი და სანაყარო.

აღსანიშნავია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჭიორა ჰესი“-ს კუთვნილი ობიექტის გეგმური შემოწმება და გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 7 ნოემბერს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 48-ე მუხლის, 49-ე მუხლის, 53^2 მუხლის, 65-ე მუხლის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილის და 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, ასევე, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088807 ოქმი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 10 დეკემბრის №4/813-2024 დადგენილებით, შპს „ჭიორა ჰესი“ ცნობილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ზემოაღნიშნული მუხლებით განსაზღვრულ სამართალდარღვევებში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა, 10000 ლარის ოდენობით. ამასთან, კომპანიას დააკისრა გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება ჯამში 12237,17 ლარის ოდენობით. არსებული მდგომარეობით, ქუთაისის რაიონული სასამართლოს დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში, ხოლო „ჭიორა ჰესი“-ს მიმართ, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, შემუშავებულია 2025 წლის 13 აგვისტოს №004172 ადმინისტრაციული მიწერილობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ განხორციელებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება. კერძოდ, მდინარე ჩვეშურაზე გათვალისწინებული სათავე ნაგებობის ადგილმდებარეობა და კაშხლის თხემის ლოკაცია, საბაზისო პროექტთან მიმართებით, შეცვლილია დაახლოებით 65 მეტრით და არსებული მდგომარეობით, სათავე ნაგებობა და კაშხლის თხემი განთავსებულია შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-0381272; Y-4737407; X-0381272; Y-4737407. შეცვლილია მდინარე ჩვეშურაზე გათვალისწინებული სათავე ნაგებობის წყალმიმღების ტიპიც და საბაზისო პროექტით განსაზღვრული გვერდითი წყალმიმღები, არსებული მდგომარეობით, ჩანაცვლებულია ტიროლის ტიპის წყალმიმღებით, ასევე მოწყობილია ორკამერიანი სალექარი. მდინარე ხვარგულაზე გათვალისწინებული სათავე ნაგებობის ადგილმდებარეობა საბაზისო პროექტთან მიმართებით, შეცვლილია დაახლოებით 50 მეტრით და არსებული მდგომარეობით იგი განთავსებულია შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-0381279; Y-4736808. გაზრდილია საბაზისო პროექტით მდინარე ხვარგულაზე გათვალისწინებული კაშხლის თხემის სიმაღლეც, რაც 1,3 მეტრის ნაცვლად, 3,3 მეტრია. აღნიშნულ კაშხალსა და სალექარს შორის დამატებით მოწყობილია წყალშემკრები გალერეა (ე.წ. „გამრეცხი“), ხოლო მდინარე ჩვეშურას და მდინარე ხვარგულას სათავე ნაგებობების დამაკავშირებელი რკინაბეტონის გალერეადან (დახურული არხი) მოდინებული წყალი, საბაზისო პროექტით განსაზღვრული წყალმიმღების ნაცვლად, მიწისქვეშა ბეტონის არხით, კვეთს მდინარე ხვარგულას და პირდაპირ უერთდება წყალშემკრებ გალერეას. მდინარე ჩვეშურაზე განთავსებული სათავე ნაგებობის ცვლილებით, შემცირებულია მდინარე ჩვეშურას წყალმიმღებიდან მდინარე ხვარგუალს წყალმიმღებამდე საბაზისო პროექტით გათვალისწინებული სატრანსფერო რკინაბეტონის გალერეის (დახურული არხი) სიგრძე, რაც 591 მეტრის ნაცვლად, 565 მეტრია. შემცირებულია მდინარე ხვარგულას სათავე ნაგებობიდან ჰესის შენობამდე საბაზისო პროექტით გათვალისწინებული სადერივაციო/სადაწნეო მილსადენის სიგრძეც, რაც 2701 მეტრის ნაცვლად, 2681 მეტრია, ასევე შეცვლილია მისი საექსპლუატაციო გვირაბში გატარების პირობები და არსებული მდგომარეობით, იგი საექსპლუატაციო გვირაბის უკიდურესი მარჯვენა მხარის ნაცვლად, განთავსებულია ცენტრში, მეტალის სადგამებზე. შეცვლილია ჰესის შენობიდან გადამუშავებული წყლის გამყვანი არხის საბაზისო პროექტით განსაზღვრული პარამეტრები და კონფიგურაცია მდინარე რიონის შესართავთან და არსებული მდგომარეობით, 4 მეტრის სიგანის და 2,5 მეტრი სიღრმის გამყვანი არხის ნაცვლად, მოწყობილია ტრაპეციის ფორმის გამყვანი არხი, რომლის სიღრმე 1,6 მეტრი, ფსკერის სიგანე 6 მეტრი, ხოლო ზედაპირის სიგანე 11 მეტრია. გარდა ზემოაღნიშნულისა, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე საბაზისო პროექტით გათვალისწინებული საცხოვრებელი კემპები არ მოწყობილა, ობიექტის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში

მუშა და მომსახურე პერსონალი ცხოვრობს ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტში არსებულ სასტუმროებში. ასევე, არ დამონტაჟებულა საბაზისო პროექტით განსაზღვრული სასმელი წყლის მიმწოდებელი წყალსაწნეო კოშკურა და წყლის გაუვნებელყოფისთვის ულტრაიისფერი დასხივების დანადგარი. მშენებლობის ეტაპზე მუშა და მომსახურე პერსონალის სასმელი წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება ბუტილირებული წყლით. მშენებლობის პროცესში მოეწყო 1,455 მეტრი სიგრძის და 4,5 მეტრი სიგანის საავტომობილო გზა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, „ჭიორა ჰესი"-ს შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ უკავშირდება. ამასთან, „ჭიორა ჰესი"-ს ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელდება გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, „ჭიორა ჰესი"-ს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით, რომელიც შეთანხმდება სააგენტოსთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს, თუმცა, ნაწილობრივ ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, რაჭის ეროვნული პარკის საზღვრებში და კვეთს ჭიორას ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკრინინგის განცხადება, კომპეტენციისამებრ, გადაეგზავნა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, პოლიგონური shp ფაილებით წარმოდგენილი 10322 $მ^2$ ფართობიდან (მდინარე ჩვეშურას და მდინარე ხვარგულას სათავე ნაგებობები; სატრანსფერო რკინაბეტონის გალერეა; ჰესის შენობა; გამყვანი არხი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 709 $მ^2$ ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, რაც ზედდებაშია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 88.12.25.001.057). ამასთან, ხაზობრივი shp ფაილებით წარმოდგენილი 4130 გრძივი მეტრიდან 1317 გრძივი მეტრი ასევე წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიას, რაც ზედდებაშია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 88.12.21.019.604). გარდა ზემოაღნიშნულისა, პოლიგონური shp ფაილებით წარმოდგენილი სანაყაროებიდან I სანაყაროს მთლიანი 341 $მ^2$ ფართობიდან 324 $მ^2$ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, რაც ზედდებაშია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 88.12.21.001.020), ხოლო VI სანაყაროს მთლიანი 17176 $მ^2$ ფართობიდან 1354 $მ^2$ ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, რაც ზედდებაშია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 88.12.21.003.010; 88.12.21.019.604). ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ტყითსარგებლობის უფლება არ ფიქსირდება. ამასთან, „ტყითსარგებლობის

წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ფუჭი ქანის სანაყარო შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის ფარგლებში.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, ხვარგულას სათავე ნაგებობა და გამყვანი არხი ხვდება რაჭის ეროვნული პარკის საზღვრებში, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც 2021 წლიდან შპს „ჭიორა ჰესი“-ს აღნაგობის უფლება ფიქსირდება. „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება კანონის ამოქმედებამდე არსებულ ქონებრივ ურთიერთობებზე არ ვრცელდება. ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არსებითად არ ზრდის გარემოზე ზემოქმედების რისკებს, უმეტეს შემთხვევაში შეფასებულია როგორც უმნიშვნელო და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შენიშვნები არ გააჩნია.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საპასუხო კორესპონდენციის შესაბამისად, ჭიორას ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურის თანაკვეთის ფართობზე არსებული ქვიშა-ხრეშის მარაგია 10665 მ^3. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 1 მ^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისათვის მოსაკრებელი 0,6 ლარს შეადგენს. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ონის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ძირითადი ინფრასტრუქტურა მოწყობილია გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალში და სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ონის მუნიციპალიტეტში მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე შპს „ჭიორა ჰესი“-ს 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ჭიორა ჰესი“) ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **არ საჭიროებს** გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენას;

2. შპს „ჭიორა ჰესი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 4 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-956) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ჭიორა ჰესი“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადაში, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს „ჭიორა ჰესი“-ს მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების (shp ფაილებთან ერთად) სააგენტოსთან შეთანხმება;
4. შპს „ჭიორა ჰესი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სახლემწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება;
5. შპს „ჭიორა ჰესი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ჭიორას ქვიშა-ხრეშის საბადოსთან თანაკვეთის ფართობზე საქმიანობის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება და კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის გადახდა;
6. შპს „ჭიორა ჰესი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 8 თვის ვადაში, სააგენტოში წარმოადგინოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული „ჭიორა ჰესი“-ს განახლებულ ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის დეტალური აღწერა, სულ მცირე, ორი სეზონის მიხედვით, ბიომრავალფეროვნებაზე დამდგარი და მოსალოდნელი ზემოქმედების, ასევე, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით. აღნიშნულ ინფორმაციაში ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების სრულფასოვანი პრევენციის მიზნით მოცემული უნდა იყოს „ჭიორა ჰესი“-ს ექსპლუატაციის ეტაპისთვის განსაზღვრული განახლებული პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები;
7. შპს „ჭიორა ჰესი“ ვალდებულია, ამ ბრძანების მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ბრძანების მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის სამონიტორინგო დაკვირვებები. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმაში ასევე უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების (საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით), მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხები;
8. შპს „ჭიორა ჰესი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 4 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-956) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
9. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჭიორა ჰესი“-ს;
10. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

11. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/585-21-4-202510021754